ხელშეკრულება შესყიდვების შესახებ № 2/06

ქ. თბილისი 25 იანვარი 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "ქინძმარაულის მარანი" (შემდგომში „მომწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამარტივებული შესყიდვის გზით, ამ ხელშეკრულების 2-ე პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 25 იანვარს სააგენტოს მიაწოდოს 40 ბოთლი ქართული ღვინო "საფერავი მუხის", განკუთვნილი გუდაურის სემინარის მონაწილეთა სასაჩუქრედ

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 15930000 (ღვინო)

1.3. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის ს ქვეპუნქტი.

2. ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 680 ლარს (ექვსას ოთხმოცი).

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

„მომწოდებელი" ვალდებულია

3.1. შემსყიდველის მოთხოვნის მიერ დათქმულ ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული 40 ბოთლი ღვინო "საფერავი მუხის"-ს მიწოდება.

3.2. მიწოდებული საქონლის რაოდენობის ან/და ხარისხის შემოწმების შემდეგ, დანაკლისის ან/და უხარისხობის აღმოჩენისას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დანაკლისის შევსება ან/და ხარისხიანი საქონლის მიწოდება.

„შემსყიდველი" ვალდებულია:

3.3. მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ხარისხიანად შესრულების შემდეგ 14 დღის ვადაში აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. ანგარიშსწორება:

4.1. „შემსყიდველის" მიერ „მომწოდებლისათვის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ამ ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებითა და ვადებში

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა:

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში „მომწოდებელი" ჯარიმდება., ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ით, იგივე პუნქტი ვრცელდება „შემსყიდველზე".

6. მიღება-ჩაბარების წესი:

6.1. საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე

7. ფორს-მაჟორი:

7.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2 ფორს-მაჟორულ შემთხვევად ითვლება სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, შეიარაღ ებული კონფლიქტი, სამოქალაქო არეულობა, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

8.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9. ინსპექტირების პირობები

9.1. ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი დავით გელოვანი.

9.2. გაწეული მომსახურების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

10. დავის გადაწყვეტა:

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

11. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>
სსიპ-ს „საქართველოს ეროვნული
საინვესტიციო სააგენტო“, დირექტორის

ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12
ეროვნული ბანკი
ს/კ №204990082
ა/ა №200122900
კოდი 220101222

<u>მომწოდებელი</u>

შპს "ქინძმარაულის მარანი"
ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას №11
ს/კ №241565891
ა/ა №GE50TB0600000026467660
ს/ს "თიბისი ბანკი"

ბ/კ TBCBGE22

12. მხარეთა ხელმოწერები

ქ.ბოჭორიშვილი

სსიპ ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს
დირექტორი

დ. ლებანიძე

შპს "ქინძმარაულის მარანი"-ს
დირექტორი

მიღება– ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ.თბილისი 25 იანვარი 2012 წ

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნმა ერთის მხრივ ქეთევან ბოჭორიშვილმა ხოლო მეორეს მხრივ: დიმიტრი ლებანიძე შევადგინეთ მიღება–ჩაბარების აქტი მასზედ, რომ ჩვენს შორის "25" იანვარს "2012 წ" "შესყიდვების შესახებ" გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელმა დროულად უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის (მომსახურეობის გაწევის) მიწოდება.

აქტის სინამდვილეს ხელს ვაწერთ:

დიმიტრი ლებანიძე
შპს "ქინძმარაულის მარანი"-ს დირექტორი

ქეთევან ბოჭორიშვილი
სსიპ საქართველოს ეროვნული ინვესტიციო სააგენტო